# ბრძანება

## საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ

18 აგვისტო 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 176

§ 1.

ნაცვლად რესპუბლიკის ჯარების მიმართ 1918 წ. 15 ივნისის, № 24 ბრძანებისა ამასთან ვაცხადებ საავტომობილო ქონებით დაკმაყოფილების ახალს ნორმების ნუსხას.

| დაწესებულების, ნაწილის და პირთა სახელწოდება: | სამსუბ. | სატვირთო | ჯავშნოსანი | სასანიტარო | დამხმარ. | მოტოციკლეტი | შენიშვნა: |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო მინისტრს . . . | 1 | | | | | | |
| სამხედ. მინისტრის თანაშემწეს | 1 | | | | | | |
| გენერალურ შტაბის უფროსს | 1 | | | | | | |
| ბრიგადების შტაბებს თითო ა) | 3 | | | | | 3 | |
| სანაპირო ჯარის შტაბს . . | 1 | | | | | 2 | ა) თვის დაწესებულებში იმყოფებიან. |
| საინჟინერო-სატეხნიკო ჯარის შტაბს . . . . . . . . | 1 | | | | | 1 | |
| სანაპირო ჯარის რაზმებს თითო ა) . . . . . . . . | 6 | 6 | | | | 12 | |
| ჯავსნოსან ავტომობილის გუნდს | 6 | 32 | 4 | 1 | 6 | 8 | |
| საავიაციო გუნდს ა) . . . | 4 | 4 | | 2 | 2 | 4 | |
| რადიო-ტელეგრაფის გუნდს . | 2 | | | | | | |
| სამხედრო სამინისტროს მთავარ დაწესებულებათა სამსახურისათვის . . . . . . | 10 | | | | | | |
| ს უ ლ . . | 36 | 42 | 4 | 3 | 8 | 30 | |

§ 2.

შენიშვნაში ნაჩვენებთ გარდა, 431 ავტომობილები იმყოფება საავტომობილო გუნდის გარაჟში.

§ 3.

ბრძანებას გავცემ მოტოციკლეტები, ავტომობილები და სხვა საავტომობილო ქონება მიეცეს მხოლოდ იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც ეს შტატით აქვთ დადგენილი.

§ 4.

სამხედრო სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებებში ავტომობილები ენიშნებათ უფროს პირებს სამსახურის შესრულების დროს. ამისთანა შემთხვევებისთვის ავტოიობილებს ჰნიშნავს საინჟენერო-სატეხნიკო ჯარის შტაბი.

სამხედრო მინისტრის მაგიერ, გენერალი **გედევანიშვილი.**